



შეთანხმებულია:

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს სამეთვალყურეო საბჭოსთან

ოქმი N 1 „ 04 „ თებერვალი 2020 წ



წლიური ანგარიში 2019 წელი

წლიურ ანგარიშში წარმოდგენილია **2019** წლის მუშაობის შედეგები კოლეჯის „ერქვანი“
2018-2024 წლების სტრატეგიულ მიზნებთან და სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში

ქ. ამბროლაური 2020 წ



სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები.

პროფესიული კოლეჯის მისიაა - **სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ მისიაა - შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, კოლეჯის მრავალპროფილიანობის გათვალისწინებით, ბენეფიციარებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ასაკის შეუზღუდავად, მისცეს შესაძლებლობა, დაეუფლონ ახალ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით: პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე დასაქმებისათვის და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.**

ორგანიზაციის ხედვა

- რეგიონში, დაიკავოს და შეინარჩუნოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია;
- მოამზადოს, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტები;
- მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ინოვაციების დანერგვით, პროფესიული განათლების დონეზე.
- ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.

კოლეჯის განვითარების ძირითადი პრიორიტეტებია

1. მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება
2. კვლევა და განვითარება
3. სწავლების მიწოდების ხარისხის ზრდა
4. სამთავრობო, საერთაშორისო და კერძო პარტნიორობის გაუმჯობესება
5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

კოლეჯის დაფინანსების ძირითადი წყაროებია:

- კოლეჯის ადმინისტრაციული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- ვაუჩერების საშუალებით, საგნობრივი და მოდულური პროგრამების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- სახელმწიფოს დაკვეთით მიღებული შემოსავლები(სოციალური ჯგუფებისთვის სხვადასხვა მოკლევადიანი სასწავლო კურსების განხორციელებით და სხვა).
- დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები.



შესავალი

წლიური ანგარიში მომზადებულია სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“-ს 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი, გეგმით გათვალისწინებული, აქტივობების შესრულების შესახებ ანგარიშების და კოლეჯში მიმდინარე სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესების გათვალისწინებით, 2018-2019 წლის ანგარიში მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- კოლეჯის მომზადება სრული ავტორიზაციისთვის
- ხარისხის მართვა;
- სასწავლო პროცესი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა;
- ინკლუზიური პროფესიული განათლება;
- ბიბლიოთეკა
- ფინანსები
- შესყიდვები
- მატერიალური უზრუნველყოფა;
- საქმისწარმოების სამსახური

კოლეჯის სრული ავტორიზაცია და ახალი პროგრამების დამატება

2019 წლის 29 აგვისტოს კოლეჯს დაუმთავრდა 5 წლიანი ავტორიზაციის ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე 2019 წლის პირველ და მეორე კვარტალში, სამოქმედო გეგმის მიხედვით, კოლეჯი მომზადდა სრული ავტორიზაციისთვის. ავტორიზაციის სამი სტანდარტის 1. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები; 2. პსდ-ს მატერიალური რესურსი; 3. პსდ-ს ადამიანური რესურსის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით კოლეჯში განხორციელდა შესაბამისი აქტივობები: ჩატარდა შიდა ბაზრის კვლევები მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების გამოკვეთის მიზნით; განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტაცია; შეირჩა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი; მომზადდა მატერიალური რესურსი, ავტორიზაციის გავლის მიზნით მოეწყო და აღიჭურვა (A, B, C) გარემო პროგრამების შესაბამისად,

შშმ პირებისათვის, კოლეჯის სასწავლო და ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე წვდომის მიზნით მოეწყო ლიფტი. კოლეჯის სრულ ავტორიზაციასთან ერთად დაგეგმილი გვექონდა ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (მესამე დონე), „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მეხუთე დონე) ავტორიზაციის გზით დამატება.

უკვე ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ (მესამე საფეხური) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანების, („პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ) საფუძველზე, ამ ბრძანების №3 დანართის შესაბამისად ჩამოყალიბებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან - „ელექტრობა“ შესაბამისობაში მოყვანა და ავტორიზაციის გზით დადასტურება.

კოლეჯმა სრული ავტორიზაცია წარმატებით გაიარა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №144 და 2019 წლის 9 სექტემბრის №159 გადაწყვეტილებებით სსიპ კოლეჯს „ერქვანი“ 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა (კვოტა) 41 სტუდენტით.



ხარისხის მართვა

2019 წლის სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზებისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, „დაგეგმე — განახორციელე — შეამოწმე — განავითარე“ დემინგის ციკლის შესაბამისად, კოლეჯის ხარისხის სამსახურის მიერ, შემუშავებულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების (მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, აკადემიური პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სხვა) შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები. ხარისხის გაუმჯობესების სისტემა ითვალისწინებს: კითხვარებს სტუდენტებისათვის და მასწავლებლებისათვის, ასევე კითხვარს დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, კურსდამთავრებულთა და მშობელთა, მასწავლებელთა ინდივიდუალური კონსულტაციების და გაკვეთილებზე დასწრების დოკუმენტაციას და სხვა.

წლის განმავლობაში ხორციელდებოდა შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შეფასების შედეგების ანალიზი და იგეგმებოდა ცვლილებები გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის სამსახურის მიერ, სასწავლო პროგრამების ყველა მასწავლებელს ეძლეოდა მითითება და პერიოდული შეხსენება, შეფასების ინსტრუმენტის შედგენის წესებსა და შეფასების ინსტრუმენტების შედგენის ფორმირებაში. დახმარების მიზნით, ხარისხის სამსახურის მიერ, განხორციელდა დასწრება თეორიულ ასევე პრაქტიკული სწავლების და შეფასების გაკვეთილებზე. შეხსენების მიზნით მასწავლებლებს ჩაუტარდა კონსულტაცია: გაკვეთილის დაგეგმვაში, საკონტაქტო საათის ძირითადი მახასიათებლების შესახებ, როგორ ხდება მათზე დროის განაწილება და სხვა. მასწავლებელთან ერთად ხორციელდებოდა მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი, მოწმდებოდა: საკონტაქტო საათის შესაბამისობა გაწერილ სილაბუსთან, გაკვეთილის სტრუქტურის შეესაბამისობა გაკვეთილის მიზანთან, მასწავლებლის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდებისა და აქტივობების შესაბამისობა სწავლების მიზანთან, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა საჭირო მასალებით, სსსმ სტუდენტების ხელშეწყობა, სწავლის შედეგის განმტკიცების ფორმა და ა. შ. ეძლეოდათ შესაბამისი მითითებები.

სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, ხარისხის სამსახურმა დახმარება გაუწია მოდულის განმახორციელებლებს პროფესიულ განვითარებაში პედაგოგიკის მიმართულებით. მიეცათ მითითებები კალენდარული გეგმის შედგენის წესზე, შეფასების ყოველი ინსტრუმენტის შედგენის წინ ეძლეოდათ კონსულტაცია, შეფასების მიმართულების და შეფასების ინსტრუმენტების შესახებ.

დახმარების მიზნით ხარისხის სამსახურმა განახორციელა დასწრება ყველა მასწავლებლის საკონტაქტო გაკვეთილებზე და შეფასების გაკვეთილებზე, გაკვეთილის ანალიზის შემდეგ მასწავლებლებს მიეცათ მითითებები. შედეგების გაანალიზების მიზნით მოდულის დამთავრების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლებმა, შეავსეს კითხვარი, თუ რამდენად მისაღები იყო აღნიშნული მოდულის სტრუქტურა, გასაგები იყო თუ არა მოდულის შინაარსი, შეესაბამებოდა თუ არა რეკომენდირებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს, შეესაბამებოდა თუ არა მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს, შეესაბამებოდა თუ არა სწავლების მეთოდები შედეგებს, ადეკვატური იყო თუ არა საათების გადანაწილება, მოდულის დანერგვის პროცესი იყო თუ არა საჭირო მასალებით უზრუნველყოფილი და ა.შ.




2019 წლის გამავლობაში:

- მოდულური სწავლების ჯგუფებში, თითოეულ მოდულზე ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა სულ 11 დასწრება;
- მოდულური სწავლების ჯგუფებში ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა 4 დასწრება შეფასების გაკვეთილზე;
- დამოწმებულია ყველა მიმდინარე მოდულის კალენდარული გეგმა;
- დამოწმებულია ყველა მიმდინარე მოდულის, უკვე შესაფასებელი შედეგების, შეფასების ინსტრუმენტები;
- ხარისხის სამსახური მიერ ჩატარდა, მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვა ყველა პროგრამის ყველა დასრულებულ მოდულში.

სასწავლო პროცესი

2019 წელს UNDP-ის მხარდაჭერით, კოლეჯში ფუნქციონირებდა დუალური სწავლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრე“, რომელიც განხორციელდა რ/კ „რაჭის ნატურალური პროდუქტები“ მეფუტკრეობის კოოპერატივის ბაზაზე. ჯგუფში ირიცხებოდა 7 სტუდენტი, 2019 წლის თებერვალში კურსი სრულად დასრულა და დიპლომი მიეცა 6 სტუდენტს.


პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №144 და 2019 წლის 9 სექტემბრის №159 გადაწყვეტილებებით სსიპ კოლეჯ „ერქვან“-ს 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა (კვოტა) 41 სტუდენტით.



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კვოტები განაწილდა: 1.ბუღალტრული აღრიცხვა-15 სტუდენტი; 2. ელექტრობა-12 სტუდენტი ; 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა“ -14 სტუდენტი .

კოლეჯს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (მესამე დონე), „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მეხუთე დონე) და „ელექტრობა“ (მესამე დონე).

აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადდა საშემოდგომო მიღება, რაც დასრულდა შემდეგი შედეგებით:



სულ: კვოტა შეადგენდა -41 გამოცდაზე გავიდა - 47 ჩაირიცხა - 34 (მათ შორის 3 სსსმ პირი)

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“, კვოტა შეადგენდა - 12 სტუდენტს, გამოცდაზე გავიდა 11, გამოცდა ჩააბარა და მიღების წესი დააკმაყოფილა 9 აპლიკანტმა.

კვოტა -12, ჩაირიცხა - 9.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, გამოცდაზე გავიდა 17, რანჟირების დოკუმენტით განაწილდა 11(თერთმეტი) აპლიკანტი, ჩაირიცხა 11 , ასევე ჩაირიცხა 3 სსსმ პირი, სულ პროგრამაზე ჩაირიცხა 14 სტუდენტი .


კვოტა - 14 ჩაირიცხა -14

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ გამოცდაზე გავიდა 19, რანჟირების დოკუმენტით განაწილდა 14 აპლიკანტი. მათ შორის 11-მა აპლიკანტმა დააკმაყოფილა მიღების წესი სრულად და ჩაირიცხა კოლეჯში.

კვოტა- 15 ჩაირიცხა -11.



➤ 2019 წელს განხორციელებული პროგრამები



2019 წელს დუალურ პროგრამაზე „მეფუტკრე“ სწავლობდა-7 სტუდენტი, სწავლა დაასრულა და მიეცა დიპლომი- 6 სტუდენტს.

2019 წელს კოლეჯში, მოდულურ სასწავლო პროგრამაზე „ელექტრობა“ სწავლობდა - 11 სტუდენტი სასწავლო კურსი სრულად დაასრულა -9 სტუდენტმა, მიეცა დიპლომი - 8 სტუდენტს, სსსმ პირს მეცა ცნობა -1 სტუდენტი.

2019 წელს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამით“ „სიმონ სხირტლადის“ სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლაში კოლეჯმა განახორციელა საგანმანათლებლო და საშემოდგომო ჯგუფების მიღება, პროფესიული უნარების განვითარების სასერტიფიკატო კურსზე "მომინანქრება". ორივე მიღებაზე, სულ ჩაირიცხა 27 მოსწავლე, კურსი სრულად დასრულა და სერტიფიკატი გაიცა 22 მოსწავლეზე.

2019 წლის საშემოდგომო მიღების, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით წარმოდგენილი 2019 წლის 13 ნოემბრის ბრძანება N 224/19 „რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ მიღებულ სასწავლო ჯგუფებში სწავლის დაწყება, დასრულება, პროგრამების ხანგრძლივობა და მიღებული სტუდენტების რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) „ბუღალტრული აღრიცხვა“ N 1 ჯგუფში ჩაირიცხა 11 პროფესიული სტუდენტი. - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა- სწავლის ხანგრძლივობა 22 თვე. სწავლის დაწყება 2019 წლის 2 დეკემბერი, დასრულება 2021 წლის 8 ოქტომბერი.

ბ) „ელექტრობა“ - N 2 ჯგუფში ჩაირიცხა 9 პროფესიული სტუდენტი. საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა -სწავლის ხანგრძლივობა 12 თვე. სწავლის დაწყება 2019 წლის 2 დეკემბერი, დასრულება 2020 წლის 13 ნოემბერი.


გ) „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ N 3 ჯგუფში ჩაირიცხა 14 პროფესიული სტუდენტი. - საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა - სწავლის ხანგრძლივობა 14 თვე. სწავლის დაწყება 2019 წლის 2 დეკემბერი, დასრულება 2021 წლის 4 თებერვალი.

ავტორიზებული პროგრამების განხორციელების მიზნით მოწყობილია A,B და C გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით. სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილია სასწავლო ცხრილები ჯგუფების მიხედვით. შედგენილია და შესაბამის განყოფილებაზე გადაცემულია ჯგუფების სასწავლო -სახარჯი მასალის ჩამონათვალი , რომელიც შესყიდული იქნება ახლო მომავალში(ვაუჩერული დაფინანსების მიღებისთანავე).



სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესზე მუდმივი მონიტორინგის მიზნით, 2019 წლის განმავლობაში ყოველი თვის ბოლოს, მიმდინარეობდა მასწავლებლების მიერ ელექტრონული ჟურნალებიდან ამობეჭდილი და წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავება, შედარება სასწავლო ცხრილებთან, შედარება ტარიფიკაციით დამტკიცებული საათების რაოდენობასა და ფაქტიურად ჩატარებულ საათებს შორის. დროულად ხდებოდა ფაქტიურად ჩატარებული საათების აღრიცხვა და გადაცემა ფინანსურ განყოფილებაზე საათების ანაზრაურების მიზნით .

2019 წლის განმავლობაში სასწავლო ჯგუფებში ფაქტიურად ჩატარებული საათების რაოდენობაა **1067 საათი**:



(მათ შორის 8 საათი ჩატარებულია 2018 წლის 28-29 დეკემბერს)

I კვარტალი 277 საათი. სამსახურეობრივი ბარათები: 2019 წ. 31.01. N00098930 – 76 საათი, 2019 წლის 28.02. N 00246930 - 95 საათი. 2019 წლის 29.3. N 00369973 -99 საათი

II კვარტალი 256 საათი: სამსახურეობრივი ბარათები: 2019წ. 25.04 N00480575 – 84 საათი, 2019 წ. 31.05. N00676851 – 90 საათი, 2019 წლის 28.06. N00870064- 89 საათი,

III კვარტალი 155 საათი : სამსახურეობრივი ბარათები: 2019 წ. 26.07. N 00990114 – 80 საათი, 2019 წ. 02.10. N 01313007 75 საათი .

IV კვარტალი 379 საათი : სამსახურეობრივი ბარათები: 2019 წ 01.11.N 01493002 – 81 საათი, 2019 წ 27.12.N 01771012 - 298 საათი)

➤ 2018 წლის საშემოდგომო მიღების საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ N 48 ჯგუფის 2 პროფესიულ სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი.

➤ წლის განმავლობაში იწარმოებოდა პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ პორტფოლიოები. კურსდამთავრებულთა პორტფოლიოები დადგენილი წესის შესაბამისად ინახება კოლეჯის არქივში.



- 2019 წლის 24 ოქტომბერს კოლეჯში მოეწყო ღია კარის დღე, სადაც მოწვეულნი იყვნენ 2019 წლის საშემოდგომო მიღების აპლიკანტები.
- 2019 წლის საშემოდგომო მიღების ჯგუფებში, პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებულია კითხვარი მათი მომსახურების გაუმჯობესების განსაზღვრის მიზნით.
- კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ტრანსპორტის საჭიროება ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებს შორის, ხოლო ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ტრანსპორტზე არსებული ფასის შემცირების აუცილებლობა.
- 2019 წელს დასრულდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაგეგმილი ტრენინგების კურსი, კოლეჯის 7 მასწავლებელმა მთლიანობაში გაიარა 5 მოდული:

I მოდული - სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში.

II მოდული - პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში.

III მოდული - სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები

IV მოდული - კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

V მოდული - პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პროფესიული განვითარება.

2019 წლის ავტორიზაციით დამატებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, დასაქმებულია ახალი პროფესიული მასწავლებლები და მათთან კოლეჯის ხარისხის მენეჯერი და სასწავლო-საწარმოო პროცესის მენეჯერი სისტემატიურად ატარებდა გეგმით გათვალისწინებულ ტრენინგებს, სასწავლო პროცესში სიახლეების გაცნობის მიზნით. ასევე, მოდულის შინაარსის სწორად გაგების მიზნით; ტრენინგი ჩატარდა, ახალ, მოდულურ და დუალურ სისტემასთან დაკავშირებით; პროფესიული სტუდენტის შეფასების მიმართულების სწორად განსაზღვრისა და შეფასების ინსტრუმენტის სწორად შედგენაში.



ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა

2019 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ჯგუფი N3 ჩარიცხულია 3 სამი სსსმ პროფესიული სტუდენტი, აღნიშნული სტუდენტების სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, კოლეჯის მიერ ხელშეკრულებით აყვანილი იქნა ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. აღნიშნული სპეციალისტის მიერ განხორციელდა ინფორმაციის მოპოვება სსსმ პროფესიული სტუდენტების ძლიერი, სუსტი მხარეების და საჭიროებების შესახებ. ამ მიზნით, პროფესიულ მასწავლებლებს გაეცნო, სსსმ პროფესიული სტუდენტების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება (რომელიც სსსმ პროფესიული სტუდენტის აკადემიურ, შემეცნებით და სხვადასხვა ფუნქციური სფეროს ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს მოიცავს.)

სწავლის დაწყების პირველ კვირაში, სტუდენტზე დაკვირვების მიზნით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ესწრებოდა, როგორც ზოგად, ისე პროფესიულ მოდულებს. მისი რეკომენდაციით დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კოლეჯში შეიქმნა ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი შიდა გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად დაგეგმვას და განხორციელებას. სსსმ პროფესიული სტუდენტების ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის მასწავლებლებს მიეწოდა „სტუდენტების აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების ანკეტა“. (პროფესიულმა მასწავლებლებმა აქტიურად



ითანამშრომლეს,). სპეციალისტის მიერ განხორციელდა შეხვედრა არასრულწლოვან სსსმ პროფესიული სტუდენტების კანონიერ წარმომადგენლებთან (მშობელთან). საუბარი ეხებოდა სასწავლო პროცესის სპეციფიკას და მიეწოდა ინფორმაცია თუ, რა შემთხვევაში მოხდება სწავლის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა და რა შემთხვევაში ვერა. ასევე მშობლებისგან მიღებული იქნა ინფორმაცია, სსსმ პირის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მის საჭიროებებზე. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასების, პროფესიული მასწავლებლების მიერ შევსებული ანკეტების, მათი და, მშობლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა, სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესის განსახორციელებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები, სპეციალისტის მიერ გაეცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს. ინფორმაციის საფუძველზე დაიგემა ღონისძიებები:

- სასწავლო მასალა სასურველია მიეწოდოს მრავალფეროვნად, ვიზუალური თვალსაჩინოებების გამოყენებით;
- სწავლის პროცესში თეორიული მასალა სასურველია იყოს გამარტივებული, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო ტექსტები შემცირებული.
- დავალების მიცემისას ინსტრუქციები უნდა იყოს ერთ ან ორსაფეხურიანი, რადგან სსსმ პირს უჭირს ყურადღების გადანაწილება რამდენიმე აქტივობაზე ერთდროულად;
- მასალის/შინაარსის ზეპირად ჩაბარების შემთხვევაში, სასურველია მიეცეს დამხმარე კითხვები ან/და ორი ალტერნატიული პასუხიდან სწორის შერჩევის საშუალება.
- გათვალისწინებული იქნას, რომ საწერი მასალა იყოს ტესტური სახის;
- სწავლის პროცესში ხელი შეეწყოს აპლიკანტების თანატოლებთან ურთიერთობას.

პროფორიენტაცია და კარიერა

2019 -წელს, კოლეჯის მიერ წინასწარ შედგენილი კითხვარის დახმარებით ქ. ამბროლაურის და ქ. ონის სკოლებში ჩატარდა კვლევა მოთხოვნადი პროფესიების დასადგენად.

კვლევის მიზანი იყო 2019 წლის საშემოდგომო მიღებისათვის მოთხოვნადი პროფესიების დადგენა. კვლევაში მონაწილეობდნენ მეცხრე და მეთორმეტე კლასის მოსწავლეები, სულ გამოკითხული იქნა 178-მოსწავლე.

მოსწავლეთა დაინტერესება გამოიწვია შემდეგმა სპეციალობებმა:

1. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხადაჭერა - 94
2. ბანკის მოლარე-ოპერატორი - 105
3. ელექტროობა - 47
4. თმის სტილისტი - 76
5. მეფუტკრე- 58
6. კონსულტანტ-გამყიდველი - 40
7. კონდიტერი - 55

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურის მიერ განხორციელდა შეხვედრები დამსაქმებლებთან, როგორც კერძო სექტორის ასევე საბიუჯეტო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან. ელექტროობის სპეციალობის საჭიროების განსაზღვრისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების მიზნით განხორციელდა შეხვედრა ენერგოპროს ქ.ამბროლაურის ფილიალის დირექტორთან, რომელმაც სურვილი გამოთქვა ურთიერთ თანამშრომლობის. აღნიშნა რომ მას ესაჭიროება დაბალი ძაბვის ელექტრიკოსები და სურვილი გამოთქვა, რომ გაატარებს პრაქტიკას და დასაქმებს კურსდამთავრებულებს. „ელექტროობის“ სასწავლო ჯგუფისთვის გაცნობითი პრაქტიკის ორგანიზების მიზნით, შეირჩა კენკრის ჩირის მწარმოებელი საწარმო შპს „ჯეოფლაუერი“, აღნიშნული საწარმოს ხელმძღვანელობასთან კოლეჯმა გააფორმა მემორანდუმი.



კოლეჯში, 2019-წლისათვის პროფორიენტაციისა და კარიერის სამსახურის მიერ, დასამატებელი პროფესიული პროგრამების განსაზღვრის მიზნით, ჩატარდა შეხვედრები შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისად: ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების სკოლებში, თემებში დაუსაქმებელ მოსახლეობასთან.

ბიბლიოთეკა

2019 წლის გამწვანებაში კოლეჯის ბიბლიოთეკით ისარგებლა 40 პიროვნებამ როგორც მოსწავლემ ასევე პედაგოგმა.

- I კვ. 2019 წლის პირველ კვარტალში ბიბლიოთეკიდან წესის მიხედვით გაიტანა და დააბრუნა სასწავლო წიგნები 11მასწავლებელმა.
- საარქივე დებულების მიხედვით დამუშავდა და კოლეჯის არქივში ჩაბარდა სასწავლო პროცესიდან შემოსული 2017 წლის საგაზაფხულო მიღების ბუღალტერ-ტექნიკოსის N42 ჯგუფის პროფესიული სტუდენტის დასკვნითი შეფასებები(პორტფოლიო) და საწარმოო პრაქტიკაზე დასწრების უწყისები. 2017 წლის საშემოდგომო მიღების მეფუტკრის სპეციალობის N46 ჯგ. პროფესიული სტუდენტის დასკვნითი შეფასებები(პორტფოლიო) და საწარმოო პრაქტიკაზე დასწრების უწყისები. ასევე გაფორმდა წიგნებზე ნაჩუქრობის აქტები N1,N2 სულ სამ წიგნზე.
- 2019 წლის მე-2 კვარტალში ბიბლიოთეკიდან წესის მიხედვით გაიტანა და დააბრუნა სასწავლო წიგნები და CDდისკები 5 მასწავლებელმა.
- 2019 წლის მე-3 კვარტალში ბიბლიოთეკიდან წესის მიხედვით გაიტანა და დააბრუნა სასწავლო წიგნები 3 მასწავლებელმა. გაფორმდა წიგნებზე ნაჩუქრობის აქტები N3 ერთ წიგნზე და საქართველოს ფერმერთა ასოციაციიდან გასაჩუქრად გადმოგვეცა 10 წიგნი მიღება-ჩაბარების აქტით 13.05 2019წელი.
- ინტერნეტიდან გადმოწერილი იქნა აიტი სპეციალობის ჯგუფისთვის და ბუღალტრული აღრიცხვისჯგუფისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალები რომლებიც დაფიქსირდა CD დისკზე და დამუშავდა ბიბლიოთეკის წესის მიხედვით. სულ 6 დისკი.
- 2019 წლის მე-4 კვარტალში ბიბლიოთეკიდან წესის მიხედვით გაიტანა და დააბრუნა სასწავლო წიგნები (18 წიგნი) 5 მასწავლებელმა და ერთმა მოსწავლემ.
- ბუღალტერიდან საარქივედ დავამუშავე ბუღალტერიაში არსებული 2014 წლის საქმეები სულ 7 საქმე. კოლეჯის კანცელარიიდან საარქივედ დაამუშავდა 2014 წ-დან 2018 წლამდე არსებული საქმეები სულ 16 საქმე.
- სასწავლო პროცესიდან საარქივედ დამუშავდა 2018 წლის საშემოდგომო მიღების ელექტრონობის სპეციალობის N 48-ე ჯგ. ნამუშევრები სულ 11 პორტფოლიო.
- სსიპ კოლეჯ „ერქვან“-ში 2019 წლის 09 დეკემბერს N 35 ხელშეკრულების საფუძველზე, მოხდა ავტორიზაციის რეკომენდაციებით გათვალისწინებული ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „ openbiblios“ დაინსტალირება.



ფინანსები

2019 წლის პროგრამული ბიუჯეტი


დასახელება	2019 წელი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სსიპ – პროფესიული კოლეჯი "ერქვანი"	238 250,00	54 975,00	66 250,00	54 475,00	62 550,00
სუბსიდიები	218 950,00	47 925,00	54 050,00	54 425,00	62 550,00
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	100,00	50,00	0,00	50,00	0,00
არაფინანსური აქტივების ზრდა	19 200,00	7 000,00	12 200,00	0,00	0,00


- საანგარიშო პერიოდში პროგრამული ბიუჯეტი დამტკიცებული იყო 238,250 ლარის ასიგნებით.
- წლის განმავლობაში მოხდა ასიგნებების კორექტირება დაემატა მე-2 და მე-4 კვარტალში 7292,00 ლარი „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვე პროგრამით“ სწავლებისათვის.
- მე-4 კვარტალში აუთვისებელი თანხებიდან მოხდა ნაწილობრივ ასიგნების შემცირება, სუბსიდიის მუხლით 2170,00 ლარი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 385,00 ლარით.
- დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს **242987,00 ლარს**. (იხ. ხაზინიდან წლიური ამონაწერი ცნ N1 დანართ 3. და ამონაწერი ფ, E-6 წლიური დანართი N 4 .
- წლის განმავლობაში ბიუჯეტი და სხვადასხვა ხარჯებისათვის მოთხოვნა და გადახდა შეადგენს 238062,11 ლარს. აქედან: სუბსიდიას 219235,31 ლარი, მოსაკრებელი 12,20 ლარი , არაფინანსური აქტივები 18814,60 ლარი. რესურსი აუთვისებელი თანხაა 4924,89 ლარი მშ. 87,80 ლარი არის მოსაკრებლებიდან, დანარჩენი 4837,09 კი სუბსიდიის სხვადასხვა მუხლებიდან.
- გაწეული ხარჯებიდან ათვისებულია: 1) თანამდებობრივი სარგო გაცემული 21 მუშაკზე დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით 144898,18 ლარი, 2) წინა საახალწლო პრემია 12240,00 ლარი; 3) სამივლინებო ხარჯი 6591,00 ლარი 4) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოა 12130,00 ლარი. აქედან სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორზე 8000,00 ლარი (მ.შ პრემია 800,00 ლარი) სასკოლო ქვე პროგრამით მომუშავე თანამშრომლებზე 4130 ლარი, 5) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობით გაწეული ხარჯია 43376,13 ლარი.
- ხარჯები გაწეულია როგორც კომუნალური ასევე სასწავლებლის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა შესყიდვები, (აქედან სასკოლო სასერთიფიკატო პროგრამით სწავლებისათვის შეძენილი სასწავლო აღჭურვილობა თანხით 2597,00 ლარი გადაეცა ონის საჯარო სკოლას მასწავლებელს (გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტით. დან N 7)



5) მოსაკრებელი 12,20 ლარი 6) ავტორიზაციისათვის არა მწარმოებული არამატერიალური აქტივებიდან 8596,00ლარი 7) სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი 9618,00ლარი , 8) ბიბლიოთეკისათვის სხვა ძირითადი აქტივებიდან შეძენილი იქნა კომპიუტერული პროგრამა „ოპენბიბლიო“ 600,00 ლარის ღირებულებით. სულ არა ფინანსური აქტივებია 18814,60ლარი .


- კოლეჯის მიერ ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე 2019 წ. გაფორმებულია და დასრულებული 45 ხელშეკრულება, როგორც პროგრამულ ბიუჯეტიდან ასევე საკუთარ სახსრებიდან. თითოეულ ხელშეკრულებაზე მოხდა ურთიერთ ანგარიშსწორება და შესაბამისად დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენა, რომელიც თან ახლავს თითოეულ ხელშეკრულებას. მიღებული მატერიალური ფასეულობა ჩაბარებულია მატერიალურ რესურსის მენეჯერზე და შესაბამისად დამადასტურებელი საბუთებით განაწილებული მოთხოვნის მიხედვით.
- სულ სხვა დანარჩენი ხარჯია 43376,13 ლარი)
- სულ პროგრამულ ბიუჯეტის მთლიანი ხარჯია 238062,11 ლარი. (იხილეთ ხაზინის ცნობა დეტალური N 2 გაწეული ხარჯების შესახებ ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით და ყოველდღიური სამუშაო ცხრილი პროგრამული ბიუჯეტის წლიური ხარჯების შესახებ ცალკეული თვეებისა და მომწოდებლების მიხედვით. დანართი N 5 და N 6).
- საკუთარი სახსრების ანგარიშზე 2019 წლიური გეგმა ხარჯების მუხლში 115000,00 ლარი. აქედან: საქონელი და მომსახურება 113790,00 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის 210,00 ლარი, სხვა ხარჯების მუხლში 1000 ლარი. არა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 75746,00 ლარი. სულ ჯამურად 190746,00ლარი (იხ. დანართი ცნობა N 1 საკუთარი სახსრები).
- საკუთარი სახსრების ანგარიშზე ირიცხება ნაშთი (01/01/2019წ) 4861,25 ლარი.
- აქედან: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის 132,23ლარი.
- საანგარიშო პერიოდში მიღებული ვაუჩერული დაფინანსებიდან **29625,69** ლარი, ხარჯი შეადგენს 22234,37ლარს.






სურ. 5

- (სურ. 5) ვაუჩერის ნაშთი 01/01/ 2020 წლის სათვის შეადგენს **12117,31ლარს** აქედან: 2019 წ საშემოდგომოდ მიღებული ჯგუფებისათვის მე-4 კვ. ჩამორიცხული თანხაა 2958,08 ლარი; ხოლო 9159,23 ლარი 2018 წელს მოქმედი ჯგუფების ვაუჩერი.
- ვაუჩერიდან გაწეული ხარჯია: 1)შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო 13308,86 ლარი; 2)დანამატი 3404,80 ლარი; 3) დასაქმებულ პირთა წინა ნსახალწლო პრემია 1400,00 ლარი; 4)კავშირ გაბმულობის ხარჯი 7,00 ლარი; 5) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან შეძენილია, სასწავლო ჯგუფებისათვის, სწავლების პროცესში გამოსაყენებელი მატერიალური ფასეულობა სხვადასხვა მომწოდებლიდან 3903,71 ლარის; 6)დამკირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებიდან გაცემულია 210,00 ლარი **სულ ხარჯი 22234,37 ლარი.**
- საკუთარი სახსრების ანგარიშზე სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრა სტრუქტურის მიერ მე-3 კვარტალში ჩამორიცხული იქნა კოლეჯში „ სამგზავრო ლიფტის“ შესაძენად და დასამონტაჟებლად 75745,73 ლარი, რომელიც შეთანხმების საფუძველზე ასახული იქნა საკუთარი სახსრების ცნობა N 1 -ის ძირითადი აქტივების შენობა ნაგებობის მუხლში.
- 2019 წლის 19 ნოემბერს ჩარიცხული იქნა ლიფტის შეძენა-დამონტაჟებისათვის შ.პ.ს „რეალ სერვისს“ 72508,82 ლარი, **სხვაობა 3236,91**ლარი დარჩა ნაშთის სახით ანგარიშზე, რომელსაც დაემატა წინა წლის ნაშთი 132,23 ლარი. სულ ჯამით 3369,14 ლარი.
- სულ საკუთარი სახსრების ანგარიშზე 2020 წლის 1/01-ისათვის ირიცხება 15486,45 ლარი მ.შ 3369,14 ლარი სსიპ სს ინფრასტრუქტურისა და 12117,31 ვაუჩერის.
- სულ გაერთიანებულად - საანგარიშო პერიოდში ანგარიშზე წლის დასაწყისში ნაშთია 4861,25ლარი, მიღებულია დაფინანსება 105371,42 ლარი გაწეული ხარჯია 94746,22 ლარი ნაშთი 2020 წლის 1/01-ისათვის შეადგენს 15486,45 ლარს (იხ დანართი ანგარიშის ჯამური ბრუნვა ფორმა N 2 . დანართი საკუთარ სახსრებზე ცნობა N 2 , დანართი საკუთარი სახსრები ფორმა N E6 და ვაუჩერულ თანხების ხარჯებზე შექმნილი სამუშაო ცხრილი თვეების მიხედვით.



- სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“-მ 19 07/2019წლის N 6 მიღება ჩაბარების აქტით უსასყიდლოდ მუდმივ სარგებლობაში, განკარგვის უფლებით, ბალანსიდან ბალანსზე, გადასცა სსიპ კოლეჯს „ერქვანი“ ერთი ცალი საგამოფენო სტენდი ღირებულებით 2124,00 ლარი.



წარდგენილია საქ.განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2019 წლის 6-თვის ბალანსი, იგზავნება კვარტალური და წლიური ანგარიში ელექტრონულად, საქ სტატისტიკის ეროვნულ



სამსახურში, კოლეჯში დასაქმებულ მუშაკებსა და მათზე დარიცხულ ხელფასზე. ასევე ფინანსთა სამინისტროში იგზავნება ინფორმაცია ელექტრონულად, თითოეულ კვარტლის და წლიურ ხარჯებზე, მათ მიერ მოთხოვნილი ფორმით. შემოსავლების სამსახურში იგზავნება ყოველი თვის დეკლარაცია.

შესყიდვები

2019 წელს სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო მოქმედი კანონით შესყიდვების შესახებ, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით.

მიმდინარე წელს, სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა კოლეჯის შესყიდვების გეგმის მიხედვით. შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებულია 45 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 114132,06 ლარი.

- 2019 განხორციელებილი შესყიდვები კვარტლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

პირველი კვარტალი

ხელშეკრულება:

- 1) N 1 შ.პ.ს "საქართველოს ფოსტა" საფოსტო-საკურიერო მომსახურების შეძენა. თანხით 10 0,00 ლარი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მომსახურების გაწევა ხდებოდა სრულად 2019 წლის განმავლობაში, კოლეჯის საჭიროებისამებრ და ანგარიშსწორება ხორციელდებოდა პროგრამული დაფინანსებით.
- 2) N 2 ს.ს „სილქნეტი“ ინტერნეტმომსახურება, თანხით 1400,00 ლარი. ხელშეკრულებით აღნიშნული კომპანიისაგან მომსახურება ხდებოდა სრულად 2019 წლის განმავლობაში და ანგარიშსწორება ხორციელდებოდა პროგრამული დაფინანსებით.
- 3) N 3 შპს „მაგთიკომი“ ჰოსტინგის მომსახურება, თანხით 84,00 ლარი. აღნიშნული კომპანიისაგან მომსახურება ხდებოდა სრულად 2019 წლის განმავლობაში და ანგარიშსწორება განხორციელდა პროგრამული დაფინანსებით.
- 4) N 4 ი.მ „ეთერ ჯაფარიძე“ საკანცელარიო ნივთების შეძენა. თანხით 75,40 ლარი. აღნიშნული კომპანიისაგან საქონლის მოწოდება მოხდა ერთჯერადად და ანგარიშსწორება განხორციელდა პროგრამული დაფინანსებით.
